ფაკულტეტი დაამთავრა. სტუდენტობის დროს ერთ-ერთი ტელევიზიის კორესპონდენტად მუშაობდა. გადაცემა, ხშირად, ინგლისურ ენაზე მიჰყავდა. ინგლისური ენის უკრსი მზაიტონის უნივერსიტეტში გაიარა. ახალგაზრდა ვუჩიჩი სერბი რადიკალების დაარსებულ პარტიაში გაერთიანდა და 1993 წელს, სწორედ მათი პარტიული სიით შევიდა პარლამენტში. ეს იყო ევროკავშირისა და ნატოს მოწინააღმდეგე პრორუსული პოლიტიკური ძალა, რომლის იდეა დიდი სერბეთის შექმნა გახლდათ. ვუჩიჩი მალე, პარტიის გენერალურ მდივანად აირჩიეს, რის შემდეგ, თანამოაზრეებთან ერთად, იუგოსლავიის არმიის ნებაყოფლობით იმსახურა. მიზანი ქალაქ სარაევოს აღებაში ჯარის დახმარება იყო. ერთი წლის შემდეგ, ბელგრადში დაბრუნდა და, ცოტა ხნით, პოლიტიკას განერიდა. 1998 წელს, ვუჩიჩს მირკო მარიაშვილის მთავრობაში ინფორმაციის მინისტრის პორტფელი ანდეს, რასაც სერბეთის მასშტაბზე კონტროლის გამკაცრება მოჰყვა. მისი მინისტრობის დროს, სერბეთმა ახალი სა-

ინფორმაციო კანონი მიიღო, რომლის მიხედვით, მასობრივი ინფორმაციის იმ საშუალებებს, რომელიც მილოშევიჩის პოლიტიკას აკრიტიკებდა, დრაკონული ჯარიმები დაუქსდა. კანონის მიღებას ოპოზიციური გამოცემები, დელი-ტელეგრაფი, ეუროპეანი და „ნაშა ბოზმა“ შეეწინა.

დაიბლოკა უცხოური ტელეარხები. მასშტაბი მხოლოდ მილოშევიჩის მხარდამხრე მასალებს აქვეყნებდა. ყველაფერ ამის გამო, ევროკავშირმა და ამერიკამ ვუჩიჩს სანქციები დაუქსა. 2004 და 2008 წლებში, ვუჩიჩმა ბელგრადის მერობის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. ორივეჯერ დამარცხდა, მაგრამ აქტიური პოლიტიკური საქმიანობა ოთხი მოწვევის პარლამენტში განაგრძო, რომელშიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა კომიტეტს ხელმძღვანელობდა. 2008 წელს, სერბეთის რადიკალურ პარტიაში განხეთქილება მოხდა. პარტია ორ მანაკად გაიყო: მკვეთრ და მომიერ რადიკალიზებული და მომიერ-ლიბერალიზებული ნიკოლიჩი გახდა, ვუჩიჩის მეგობარი და თანამოაზრე. მოგვიანებით,

ორივემ დატოვა პარტია და ახალი პოლიტიკური ძალა, სერბეთის პროგრესული პარტია შექმნეს, რომელმაც პროგრესული გეზი აიღო, მაგრამ მაინც პრორუსულ ძალად დარჩა. ახალი პარტიის ლიდერად ნიკოლიჩი აირჩიეს. ვუჩიჩი მისი მარჯვენა ხელი გახდა, რომლის პოლიტიკურმა შეხედულებებმა, ნელ-ნელა, ცვლილება განიცადა. ძველი რადიკალიზმი და ანტიემოკრატიულობა მოინანია. ევროპასთან დაახლოებას კი ცდილობდა, მაგრამ დიდ სერბეთზე ოცნებას მაინც ვერ ელეოდა. 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, მთავარი კონკურენტები პროგრესული პარტიის ლიდერი, ნიკოლიჩი და მოკლული პრემიერის, ჯინჯიჩის დემოკრატიული პარტიის მეთაური, ტადიჩი იყვნენ. ამომრჩევლის უკიდურესი პოლიტიკის გამო, მეორე ტური დაინიშნა, რომელშიც ნიკოლიჩმა გაიმარჯვა. მან ვუჩიჩი თავდაცვისა და უშიშროების მინისტრად და, ამავე დროს, ვიკე-პრემიერად დანიშნა. მალე, ის პარტიის ლიდერაც გახდა. 2014 წლის საპარლამენტო არჩევნებში, პროგრესული პარტია პირველ ადგილზე გაიდა და ვუჩიჩს პრემიერ-მინისტრის სავარძელი ერგო. მისი პრიორიტეტები ევროინტეგრაცია, ამერიკასთან ურთიერთობის დამყარება და რუსეთთან მეგობრობა იყო. 2016 წელს, ვუჩიჩის თხოვნით, პრეზიდენტმა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა, რომელშიც კვლავ პროგრესულმა პარტიამ გაიმარჯვა, და ვუჩიჩი ისევ პრემიერ-მინისტრი გახდა.

მის დროს, სერბეთმა დიდი ეკონომიკური მიღწევები აჩვენა, მნიშვნელოვნად შემცირდა უმუშევრობა. მოხ-

და ისე, რომ ნიკოლიჩმა 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა და პარტიის ვუჩიჩის მხარდაჭერისკენ მოუწოდა, რომლის საარჩევნო კამპანია პოპულისტურ ლოზუნგებზე იყო აწყობილი. საარჩევნო დაპირებებს შორის, ყველაზე ხმაბალად სერბეთში დესტაბილიზაციის არდაშვება, ანუ უკრაინის ავსიისთვის თავის არიდება, ევროკავშირში გაწევრიანება და რუსეთთან კეთილი ურთიერთობის შენარჩუნება გაჟღერდა. ერთი სიტყვით, სერბეთი არ უნდა გადაქცეულიყო რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირების არენად. ვუჩიჩმა პირველივე ტურში გაიმარჯვა. მან არჩევნისთანავე განაცხადა, რომ კოსოვოსთან ურთიერთობის რეორგანიზაციის ეცდებოდა, ევროკავშირში გაწევრიანების კურსს გაგრძელებდა და ადასტურდა და განაცხადა, რომ სერბეთი არც ერთ სამხედრო ბლოკს არ შეუერთდება. რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირებაში, ვუჩიჩი ცდილობს ნეიტრალური პოზიცია დაიკავოს. ყირიმსა და დონბასს უკრაინის ტერიტორიებად მიიჩნევს, მაგრამ საუკეთესო ურთიერთობას ინარჩუნებს რუსეთთან. სანქციებს არ უწყევს.

2022 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, ვუჩიჩმა თავისი რეკორდი გაიმყარა: პირველსავე ტურში გაიმარჯვა და მეორეჯერ გახდა სერბეთის პრეზიდენტი.



ნუზარ ბ. რუსაძე POSTV

რუსეთმა რიონის ახალი არმიის ჩამოყალიბება დაიწყო

რუსეთმა უკრაინაში მიმდინარე ომში ზურვის გასაძლიერებლად ახალი მსხვილი შენაერთების შექმნა დაიწყო, თუმცა მობილიზაციის ახალი ტალღის გარეშე მას თუნდაც ერთი არმიის ჩამოყალიბებაც კი გაუჭირდება, - ინფორმაციას ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვა ავრცელებს. უკრაინაში შეჭრის შემდეგ რუსეთი ძირითადად იყენებდა მობილიზებულ რეზერვისტებს უკვე არსებული ფორმირებების შესავსებად და იშვიათად ქმნიდა ახალ მსხვილ შენაერთებს, მაგალითად, საერთო-საჯარისო არმიებს. გამოწვევის იყო 2022 წლის ზაფხულში შექმნილი მე-3 არმიის კორპუსი, რომელმაც ცუდი შედეგები აჩვენა.

„მოლო ორი თვის განმავლობაში რუსეთმა, დიდი ალ-

მათობით, დაიწყო ახალი მსხვილი შენაერთების შექმნა, რათა გააძლიეროს თავისი სახმელეთო ძალები. მათ რიცხვს განეკუთვნება 25-ე საერთო-საჯარისო არმია, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

კიპოს უჯოვს, ჩაენი დახმარება დააფასოს!!!

პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა, მატეუზ მორავიევიმ მკაცრად დაგმო პოლონეთის ელჩის უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაბარება.

„ქვეყნის წარმომადგენელი, რომელიც ერთადერთია, ვინც დარჩა კიევში უკრაინაში რუსეთის შემოჭრის დღიდან, არ უნდა გამოეცხადებინა. ეს არ უნდა მომხდარიყო. საერთაშორისო პოლიტიკაში, მიმდინარე ომის პირობებში, იმ უზარმაზარი

მხარდაჭერის გათვალისწინებით, რომელსაც პოლონეთი უკრაინის უწყებს, ასეთი შეცდომები დაუშვებელია, - წერს მატეუზ მორავიევი.

მისივე თქმით, პოლონეთისთვის სხვა სახელმწიფოს ინტერესები არასდროს დადგება მათი ქვეყნის ინტერესებზე მაღლა. პოლონეთის სახელმწიფო მდივანმა და პრეზიდენტის ადმინისტრაციამ საგარეო პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე ოფისის ხელმძღვანელმა, მარჩინ პშიდიჩმა უკრაინული მარცხელების შესახებ პოლონეთის ელჩი მარტოპ ციხოვი დაიბარეს. ამასთან, უკრაინის საგარეო უწყებაში პოლონეთის ელჩის დაბარების შემდეგ, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში უკრაინის ელჩი დაიბარეს.

მეკავშირის ორგანიზაცია კლასიკურ ხანაში

წინა წარმოდგენილი იყო პროსტიტუციის ნაშთების პირველი ფაზები, რამაც მისი საერთო სახეობრივი ხასიათის მოქმედებად ჩამოყალიბების შესაძლებლობა შექმნა, რომლის ველურ, ისე კულტურულ სახეობაში.


ახლა შევხებით თანამედროვე პროსტიტუციის გავრცელებას კულტურულ ხალხებში, მისი მოწყობის, დიფერენცირებისა და გამოვლინების მრავალსახეობას.

წინმსწრედ შეიძლება ითქვას, რომ ყველა ამ მახასიათებელი თანამედროვე პროსტიტუცია, არსებითად, თითქმის არაფრით განსხვავდება ძველი ბერძენებისა და რომაელების მედვილისგან. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ძველ დროში მედავიზმსა და გადამდებ სქესობრივ დაავადებებს შორის არსებული მჭიდრო კავშირის შესახებ არაფერი იყო ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროში სანიტარული პოლიცია არ არსებობდა, პროსტიტუციის გარკვეული პირადი შიგნითა მინიცი იყო.

აღსანიშნავია, რომ ქრისტიანობამ არათუ ვერ შეძლო ანტიკური ხანის ამ გადმონაშთის მძლავრი წინააღმდეგობის გარდატეხა, არამედ არაერთგვაროვანი თავდაცვითი პოლიცია მას. თანამედროვე პროსტიტუცია ყოველმხრივ ანტიკური მედავიზმის გადმონაშთს წარმოადგენს, რომელმაც ჩვენამდე შეასაუკუნოვანი კულტურის გამოვლით მოაღწია.

ძველ დროში პროსტიტუციის პირველი ორგანიზება, დიდი ათენელი კანონმდებლის სოლონის სახელს უკავშირდება, რომელიც ძველი წელთაღრიცხვით 594 წლით თარიღდება, თუმცა კი, ცხადია, მას მეტად ხანგრძლივი წინასიტორია აქვს, რის თაობაზეც წინა პუბლიკაციებში ვეჭვობა ლაპარაკი.

პროსტიტუციის ორგანიზება მხოლოდ ერთი რგოლი იყო იმ ახალ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოწყობაში, რომელთა შემოღება ათენელებმა არქონტ სოლონს ამ დროს დაავალეს. პლუტარქეს გადმოცემით, იმ ხანებში ათენელ ქალებში სრული გავრცელებული იყო გაბატონებული. პროსტიტუციაში ჩართულნი იყვნენ თავისუფალი მოქალაქე-



პროსტიტუციის ისტორია

ამ მოსაზრებას სავსებით იზიარებდნენ პლატონიც და არისტოტელეც. სოლონის რეფორმის შედეგად შეიქმნა ერთი გასაოცარი სახელმწიფო უწყება - „გინეკონომი“ (ანუ, „ქალების ზედამხედველი“), რომელიც პატიოსანი და პატივსაცემი ადამიანებისთვის თავისებურ ზნეობის პოლიციის წარმოადგენდა, ხოლო მედავიზსა და საზოგადოების მიმართ უზნეოდ პირუბამ ადამიანებულ პირებზე, სხვა ტიპის საგანგებო ზედამხედველობა იყო დაწესებული.

სოლონის კანონმდებლობით თავის ქმედებებში ეგრეთ წოდებული „ორმაგი ზნეობის“ პრინციპით ხელმძღვანელობდა, რაც იმას გულისხმობდა, რომ ქორწინებულმა და ქორწინებისგარეშე სქესობრივი ურთიერთობები მაშვაცემისთვის ნებადართული იყო, ხოლო ქალებისთვის - არა.

ამრიგად, სოლონის სა-როსკიპოები უკვე სახელმწიფო და არა რელიგიურ ინსტიტუციას წარმოადგენენ, რომლებიც ცალკეული მედავიზზე ზედამხედველობა და მათგან ბაჟსაც იღებენ. საროსკიპოების კონტინგენტი საჯაროდ ნაყიდი მონებისგან შედგებოდა, რომლებიც მამრებს ერთიანად გამოუმჯობესებელი ხედვით დანებდნენ.

ძველ საბერძნეთში ცოლ-ქმრობის უწინარესი მიზანი ქალის მიერ ლამაზი და ჯანმრთელი შვილების გაჩენა და საოჯახო მეურნეობის გაძოვრა იყო, ხოლო მეუღლეთა ინდივიდუალურ სიყვარულს არავითარი ფაქტი არ ჰქონდა და რაღაც საოცრებათაუკი კი აღიქმებოდა. ამის გამოასაკიდან (13-15 წელი) გამომდინარე, როცა ისინი ჯერ კიდევ თავად იყვნენ ხიონიანად აღსაზრდელნი, ქალთან ინდივიდუალურ ურთიერთობებს მაშვაცემი ქორწინების მიღმა კავშირებში, განათლებულ პეტრეობთან და კონკურენტებთან ემიჯნებდნენ.

ამ მხრივ, ცოლ-ქმრობაზე ჩვენს თანამედროვე შეხედულებებთან გასაღებით ახლოა რომაული ქორწინება, როცა იქაური მატრონები ვაცოცხლებდნენ. მიუხედავად ამისა, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველსავე საუკუნეებში და უფრო ადრე, პროსტიტუცია ძველ რომში ფართოდ იყო გავრცელებული, რაც არა იქაური ცოლ-ქმრული ცხოვრების დაკანონებული წესით, არამედ ბერძნული მედავიზმით იხსნება. თუმცა კი ისიცაა, რომ როგორც ძველ საბერძნეთში, ასევე ძველ რომში, პროსტიტუციის ფართოდ გავრცელების საბოლოო მიზანი ამ გზით ცოლ-ქმრობის ინსტიტუტის განვითარებისგან დაიკავა იყო, რისთვისაც კიდევ სხვა სასჯელ სანქციებზე მიმართავდნენ. მაგალითად, ჩვენს ერამდე ორი ათეული წლით ადრე, რომის იმპერატორმა ავგუსტუსმა ცნობილი ედიქტი „Julia de adulteris“-ი გამოსცა, რომლის მიხედვითაც მამაკაცი არა მარტო ცოლ-ქმრული დალატისთვის, არამედ გაუთავარ და ქვრივ თავისუფალ ქალებთან სქესობრივი ურთიერთობისთვისაც კი უშვარესად ისჯებოდა - ეს იყო ქონების ჩამორთმევა, გაროგვა და განდევნა. ასეთი მკაცრი სასჯელი მამაკაცებს თავისთავად უბიძგებდა მედავიზთან ურთიერთობისკენ...

დროული ტანვარჯიშის განვითარება ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა იყო სქესობრივ ლტოლვაზე დამყარებული ახალგაზრდა ბიჭებისადმი უაღრესად ინდივიდუალური მისწრაფება. ეს უაღრესად თავისებური ინსტიტუტი ადრევე გავრცელებული იყო, სადაც თავისუფალი მამაკაცთა პრივილეგიად ითვლებოდა. სოლონის კანონმდებლობით, ბიჭებისადმი სიყვარული სავსებით პატივსაცემ მდგომარეობად იყო მიჩნეული, თუმცა კი მონებს ის აკრძალული ჰქონდა.

ამ გარემოების აღნიშვნის მიზანი ისაა, რომ თვალნათლივ წარმოჩნდეს, რომ კლასიკურ ანტიკურ დროში ბიჭებისადმი სიყვარულის გავრცელებულ და ამის სრული საჭარბა იმას მოწმობს, რომ იმ ხანებში მამაკაცების პროსტიტუცია ქალთა პროსტიტუციის თანასწორუფლებიანი იყო და ამდენად გავრცელებული გახლდათ, რომ ამის წარმოდგენა დღესაც კი შესაძლოა გავივიწყებდნენ. ჯერ კიდევ საკითხავია, თუ ვინ უფრო ხშირად გვხვდება ელინური ეპოქის ლიტერატურაში - პროსტიტუციონერი ბიჭები თუ მედავი ქალები.

ძველ დროში ქალების ჰომოსექსუალიზმი (ანუ ლესბოსელობა), საზოგადოებაში სულაც არ იყო თვალშისაცემი, როგორც მამაკაცთა ჰომოსექსუალიზმი, რომელიც ყველაზე ფართოდ დროიერებში იყო გავრცელებული - პლუტარქეს თქმით, ერთნაირსქესიანთა სიყვარული იმდენად მიღებული იყო სპარტაში, რომ ქალიშვილებთან სქესობრივი ურთიერთობები თითქმის ყველა პატივსაცემ ქალმატრონასაც ჰქონდა.

ქალებს შორის ერთსქესა სიყვარული უძველესი ადგილი, სპარტასთან ერთად, ლუკანეს მოწმობით, მიჩნეულია უმეტესი ლესბოსის. ტრიბადის კიდევ ერთ ცენტრად, არისტოტელეს მოწმობით, გარყვნილებით ცნობილი მილეთი ითვლებოდა, სადაც ხელოვნურ ფალოსებსაც კი იყენებდნენ. ჰომოსექსუალ ქალებს რომში ასევე აგრეთვე პორნოგრაფიის და სენეკა, იუვენალი და მარციალუსი კი მის უდიდეს გავრცელებას ადასტურებენ იმპერიის ხანაში.

ძველ დროში, უფლებები და ყოველგვარ საკუთარ ნებაში უაღრესად შეზღუდვები იყვნენ არა მარტო ბორდელებში მცხოვრები პირები, არამედ თითქმის ყველა თავისუფალი მედავიც, რომლებიც მაჭანკლების, ანუ თავიანთი ფაქტობრივი მფლობელების სრულ მონობაში იმყოფებოდნენ, რომლებიც, პროსტიტუციის მიზნით, მათ ისევე მაჭანკლებზე (ანუ თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, სუტენორებზე აქირავებდნენ) მაჭანკლები, როგორც წესი, ომის დროს დატყვევებულ, ანდა მეკობრეების მიერ მოტაცებულ გოგო-ბიჭებს ყიდულობდნენ პროსტიტუციონების მიზნით.

სხვათა შორის, მეფერი პროსტიტუციონერი როგორც ქალი, ისე მამაკაცი - დროთა განმავლობაში ახერხებდა საკუთარი თავის გამოსყიდვას და მერე თავდაცვით ყიდულობდა ორივე სქესის მონებს იგივე მიზნისთვის.

ინტენსიური ქალაქური ცივილიზაცია ძველ დროში, პროსტიტუციის ფართოდ გავრცელების ისეთივე ხელშემწყობი ფაქტორი იყო, როგორც ეს თანამედროვე დიდ თუ პატარა ქალაქებში ხდება.

ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილათ ანტიკურ ქალაქებს, რომლებიც პროსტიტუციის ცენტრებად უნდა მივიჩნიოთ.

რომი - ეს იყო ანტიკური სამყაროს გასაოცარი დედაქალაქი, რომელიც, ათენის თქმით, ყველა პროვინციის ექსტრაქტს წარმოადგენდა. მის ერთ-ერთ აღწერაში, რომელიც ძველ წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნით თარიღდება, ნახსენებია 1790 სასახლე და 46602 გასაქირავებელი სახლი, ხალხის რიცხოვნობა კი ერთიდან - ორნახევარ მილიონამდე უნდა ყოფილიყო.

ალექსანდრია - ის ძველი დროის სიდიდით მეორე, „ოქროს“ ქალაქი, ეგვიპტეს დედაქალაქი გახლდათ, რომელიც დაკავებული სივრცით რომზე დიდოვ იყო, სადაც მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობდა, რომელთა შორის თავისუფალი 30 ათასზე მეტი ცხოვრობდა. სტრაბონის მოწმობით, „ეს იყო დასახლებული მიწების ყველაზე დიდი სავაჭრო ადგილი, სიუხვის, სიმდიდრისა და ფუფუნების ქალაქი, სადაც ერთადერთ ღმერთს - ფულს ეთავადასებებდნენ“. თუ რაოდენ დიდი მასშტაბისა იყო იქაური ვაჭრობა და საქარხნო წარმოება, ამას ერთი საბაჟო დოკუმენტი მოწმობს, რომლის თანახმად, იმპერატორ ავგუსტუსის მმართველობის ხანაში, ალექსანდრიიდან რომში, გემით კვარცხლბეკიანი ობელისკი ვადაიტანეს, რომელიც ახლაც დგას პორტა დელ პოპოლოსთან. 200 მეგაგურის გარდა, გემზე იმყოფებოდა 1200 მეგაგური, 24 ათასი პეტროლიტური ხორბალი, ასევე აუარემა შევვრა ქსოვილი, მინისა და პაპირუსის დასატეხი, პილპილის ფუთები.

სირაკუზა - ალექსანდრიის დარად, ისიც საბერძნეთის უდიდეს ქალაქად ითვლებოდა, სადაც მილიონიან მოსახლეობას უმძლავრესი ციხე-სიმაგრე იცავდა და რომელსაც უზარმაზარი ნავსადგური ჰქონდა.

პართავნი - ეს იყო აფრიკის ჩრდილოეთში განთავსებული ძველი ფინიკიის დედაქალაქი. დანგრეული ძველი ქალაქის ადგილას აგებული ახალი კართავნი, მოსახლეობითა და სასახლეების ფუფუნებით, ალექსანდრიას არაფრით ჩამოუვარდებოდა და სიდიდით მეორე ადგილზე იყო. ის აღმოსავლეთის ყველაზე გავრცელებული ქალაქად ითვლებოდა.

ვატისი (თანამედროვე კალისი) - ფინიკიის მეორე დედაქალაქი იყო ესპანეთში, რომელიც, სტრაბონის თქმით, მოსახლეობის რიცხოვნობით, რომის გარდა, არც ერთ სხვა ქალაქს არ ჩამოუვარდებოდა. ეს იყო დახვეწილი აფორიკოვით განთქმული ადგილი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა რომაელებში.

ანტიოქია - სირიის იმდროინდელ დედაქალაქში სტრაბონი წერს, რომ ძველამოსილებითა და სიდიდით, ის მდინარე ტიგროსზე სულეუსიას, ხოლო ეგვიპტეში ალექსანდრიას არ ჩამოუვარდებოდა.

სელევკიას კი ისტორიკოსი მომხრე მდინარე ტიგროსზე მდებარე „ძველი ბაბილონის მიმდევარსა და ბაბილონის წინამორბედს“ უწოდებს, რომელიც სიდიდით ალექსანდრიას, ანტიოქიასა და ბაბილონს უტოლდება.

ათენი - ატიკის სამეფოს გაფურჩქვნის ხანაში, ძალიან დიდი ქალაქი იყო. თუმცა მისი მოსახლეობის რიცხოვნობის დაზარალება შესტად ვერ ხერხდება. ვარაუდობენ, 160 ათასიდან 600 ათას კაცამდე შუალედში უნდა ყოფილიყო.

პორინი - ამ „უმშვენიერეს“ და უდიდეს სავაჭრო ქალაქში“ ნახევარ მილიონამდე მარტო მონა იყო.

დამოლოს მისინია (კონსტანტინოპოლი), რომელიც კონსტანტინე დიდმა რომის იმპერიის დედაქალაქად გამოაცხადა. ის მანამდე აყვავებული, უმდიდრესი და უმშვენიერესი ქალაქი იყო, რომლის მოსახლეობა გარყვნილებით იყო ცნობილი. ჩამოთვლილი დიდი ქალაქების გარდა, იყო კიდევ აურემა პატარ-პატარა პროვინციული ქალაქი, სადაც მედავიზმა ისევე გავრცელებული იყო და იგივე კანონებს ემორჩილებოდა, როგორც დიდ პოლისებში.

მოამზადა ოთარ ტურაბაიძემ (ბაზრკაშვილი იმნება)



თასები ანტიკური საპარკნატიონი პროტიკული მოხატულობით

ბიჭ, მდაბიოები კი, უაღრესი გაჭირვებისა და მდიდრების ეკონომიკური მარწმუნებში ჩაჯარდნის გამო, იძულებული იყვნენ საკუთარი შვილებიც კი მედავიზად გაეყიდათ.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დროს ჩნდება პირველად ცნება „პროსტიტუტია“: საქმე ისაა, რომ მამინ დაიწყეს სოფლის მეურნეობის დარად მრეწველობისა და ვაჭრობის, როგორც დარგის ჩამოყალიბება. იმხანად ათენში უკვე არსებობდნენ ფაბრიკებიც, სადაც ძირითადად დასაქმებული მონები კი იყვნენ, მაგრამ გარდა ამისა, მეშეზად თავისუფალი მოქალაქეებიც აწყავდათ, რომელთაც საკმაოდ მრავალად უცხოელებიც ემატებოდნენ. ამრიგად, წარმოიშვა მოსახლეობის ისეთი სოციალური სტრუქტურა, რომელიც დიდად უწყობდა ხელს ქორწინების მიღმა სქესობრივი ურთიერთობის ფართოდ გავრცელებას. ამის გამო იყო, რომ ცოლ-ქმრული ერთგულების დარღვევისა და თავისუფალ ქალიშვილთა შექმნის შემთხვევები ძალიან გახშირდა. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება გახდა იმის მთავარი მიზეზი, რამაც სოლონი აიძულა სქესობრივი რეფორმა ჩაეტარებინა, რომელიც, როგორც ვეგოთ ითქვა, ახალი კანონმდებლობის მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენდა. ეს რეფორმა ძირითადად ორი მიმართულებით წარიმართა. სოლონმა შემოიღო იძულებითი სახელმწიფო ზომები: 1) ცოლ-ქმრობის ინსტიტუტის დასაცავად და ღალატის თავიანთ ასაცილებლად და 2) ქორწინების გაუმჯობესების სქესობრივი ლტოლვის შეზღუდვად დასაკმაყოფილებლად.

ინდივიდის კერძო ცხოვრებაში სახელმწიფოს ასეთი, ჩვენი დღევანდელი თვალთახედვისთვის, ყოვლად მოურიდებელი ჩარევა იმით იხსნება, რომ ძველ ბერძნეთში მსოფლმხედველობით, ცალკეული პირის ზნეობრივი აღზრდის მოვალეობა, სახელმწიფოს აწევს. ამ მიზეზით, ზნეობრივი თავისუფლება ინდივიდს არ გააჩნდა და

გაბრძანება. დასაწყისი №83, 85-87



მოკლენის წინ

რამდენიმე კვირაც და სამართალი პურს ჭამს - მსოფლიოს ჩემპიონების ზურაბ საკანდელიძისა და ნიკოლოზ დერიუგინის სამშობლო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში თავის პირველ საკალათბურთო მუნდიალზე ითამაშებს.

დამდევნი ფორუმი ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენაა, ნავსის გატეხვის ფარგლებს არსებითად რომ სცდება, ამიტომ გამორჩეულია ის ინტენსივი, რომლითაც სპორტის ქართველი გულშემატკივარი მომავალ სუპერტურნირს ელოდება.

შეგახსენებთ, რომ ფიშამ მომავალი საკალათბურთო ზეიმის მასპინძლობა იაპონიას, ინდონეზიასა და ფილიპინებს დააკისრა, აზიური ბატალიების დასკვნითი რაუნდის პლეი-ოფები, მათ შორის ფინალური მატჩი კი მანილაში გაიმართება.

სავარაუდო დაუვიწყარი სპექტაკლების მოახლოების შესაბამისად, სამი ქვეყნის პირმშოს მტრ ყურადღებას დაუვთობთ, დღეს კი გთავაზობთ ჯგუფური ეტაპის კალენდარს (ცნობისთვის: კალათბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის შეხვედრათა ტელენარკოტივებს ექსკლუზიურად საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი შემოგვთავაზებს, ილიას ზუროსის გაწვრთნილი ჩვენი გუნდი კი კუნძულ ოკინავაზე იასპარეზებს).

25 აგვისტო. ანგოლა - იტალია, ფინეთი - ავსტრალია, მექსიკა - მონტენეგრო, ლატვია - ლიბანი, დომინიკა - ფილიპინები, გერმანია - იაპონია, ეგვიპტე - ლიეტუვა, კანადა - საფრანგეთი.

26 აგვისტო. კაბო ვერდე - საქართველო, სუდანი - პუერტო რიკო, იორდანია - სამხრეთი, ირანი - მრავალ, სლოვენია - ვენესუელა, სერბეთი - ჩინეთი, აშშ - გელანდია, ესპანეთი - კოტ დივუარი.

მუნდიალის კონტურები

27 აგვისტო. იტალია - დომინიკა, ავსტრალია - გერმანია, მონტენეგრო - ეგვიპტე, ლიბანი - კანადა, ფილიპინები - ანგოლა, იაპონია - ფინეთი, ლიეტუვა - მექსიკა, საფრანგეთი - ლატვია.

28 აგვისტო. ჩინეთი - სუდანი, ვენესუელა - კაბო ვერდე, გელანდია - იორდანია, კოტ დივუარი - ირანი, საქართველო - სლოვენია, პუერტო რიკო - სერბეთი, სამხრეთი - აშშ, მრავალ - ესპანეთი.


29 აგვისტო. გერმანია - ფინეთი, ანგოლა - დომინიკა, ეგვიპტე - მექსიკა, ლიბანი - საფრანგეთი, ავსტრალია - იაპონია, ფილიპინები - იტალია, მონტენეგრო - ლიეტუვა, კანადა - ლატვია.

30 აგვისტო. საქართველო - ვენესუელა, სუდანი - სერბეთი, აშშ - იორდანია, კოტ დივუარი - მრავალ, სლოვენია - კაბო ვერდე, ჩინეთი - პუერტო რიკო, სამხრეთი - გელანდია, ირანი - ესპანეთი.

იპონიაში გამგზავრებამდე, მუნდიალის, გვიანტურესებს, როგორი კონდიციები აკრიფეს ჯგუფისთვის, რომლებმაც იტალიის ქალაქ ტრევიზოში შენგელიას ვარჯიშ ეგვიპტესთან წაგებული დახურულ ფორმატში გამართული სპარინგის შემდეგ კაუნასში გადაინაცვლეს, სადაც სპორტული გმირების ჩადენამდე 1 წამი დააკლდათ.

ლიჩევა - საქართველო 104:102
საქართველო: შენგელია - 30, მამუკელაშვილი - 19, შერმალინი - 18, მაკფადენი - 18, სანაძე - 5, ცინცაძე - 5, კინჭანაძე - 4, ტურნილაძე - 2, ანდრონიკაშვილი - 1 ქულა. ითამაშეს აგრეთვე მექსიკა და ლიეტუვა. არ გამოსულა მერიშვილი.

მოგეხსენებთ, რომ ბალტიისპირელები ყველასათვის მრისხანე მეტოქე არიან და აზიამდე ერთ-ერთი ფავორიტის სტატუსით ჩაღიან იმის მიუხედავად, რომ დომინანტის საზონისმა ნაკრებში ითამაშე უარი გა-



ნაცხადა. მართალია, მასპინძლებმა ამჯერად კუმინსკასიცი დაასვენეს, მაგრამ სამაგიეროდ მითაძე ჩვენს გვაკლდა - მას მიკროტრაფმა აწუხებს.

ისიც სათქმელია, რომ ზუროსის მ-წლიანი თავკაცობის განმავლობაში „მწვანეები“ ორჯერ დავამარცხეთ და ერთ მათგანში შენგელიამ 29 ქულით ისახელა თავი.

მან „უალგირის არენაზე“ უკვე 30 ქულამდე აწია პირადი მონაგრის თამასა და ბოლო მეოთხედში შენგელიამ, მამუკელაშვილი და მაკფადენიც აიყოლია, მაგრამ ოდნავ დავაგვიანეთ. დიას, დასკვნითი 10 წუთის წინ კალათბურთის მხოლოდ ლიეტუვა თამაშობდა და სოლიდურ უპირატესობას ფლობდა ზუსტი ტრადიციული სამქულიანებით და ვალანჩუნასის თამაშობით - 82:65, მაგრამ კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ბოლომდე ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი და ნერვები ხანდახან ცივისისხლიანობით გამორჩეულ ბალტიისპირელებსაც დალატობს - მათ კრიტიკულ ვითარებაში 10 საჯარომოდან მხოლოდ 3 ჩააგდეს.

მოკლედ, დავუჯეროთ ჩვენებურთა მერძენ შესაჭვს და ამხანაგური შეხვედრების უარყოფით შედეგებს მოჭარბებულ ყურადღებას ნუ მივაქცევთ, გულში კი მოვინიშნოთ, რომ გვყავს ბრძოლისუნარიანი გუნდი, რომელიც კარგია შეტევაში, მაგრამ ჯერჯერობით მოიპოვებებს დაცვაში, 5 აგვისტოს კი რიგაში ლატვიას ეწვევა.



ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს განსხვავება

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის ფარგლებში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში: „სსე“) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის (KfW) დაფინანსებით, გურიის რეგიონში ახორციელებს ახორციელებს 220/110 კვ. ელექტროგადამცემი ხაზი „ოზურგეთი-ზოტიკის“-ის მშენებლობის პროექტს, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 მარტის 1-1/108 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გადამცემის ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის“ შემადგენელ ნაწილს.

გვს „ოზურგეთი-ზოტიკის“-ის მშენებლობის პროექტის არეალში მოქცეული უცხოეთის მოქალაქის, გასან ხურის (C/N LR0581495) საკუთრებაში არსებული, მიწის ნაკვეთების ნაწილი, კერძოდ:

- 1. 1000.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.16.22.269) ნაწილი - 35.00 კვ.მ;
- 2. 1000.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.16.22.275) ნაწილი - 316.00 კვ.მ;
- 3. 1000.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.16.22.268) ნაწილი - 4 კვ.მ;

მესაკუთრეს ოფიციალურ მისამართზე გაეგზავნა 2023 წლის 4 ივლისის 4275/07 წერილი, რომელშიც განემარტებული იყო განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობა, ასევე, კომპენსაციის გაანგარიშების მეთოდოლოგია, ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ 220/110 კვ. ევს „ოზურგეთი-ზოტიკისისთვის“ დადგენილი უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით სხვა ოპტიმალური ადგილმდებარეობა არ არსებობს და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთების ნებაყოფლობის გასხვისების წინადადება მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულების - 6123.75 (ექვსი ათას ას ოცდასამი ლარი და 75 თეთრი) ლარის ანაზღაურების პირობით.

წინამდებარე პუბლიკაციით, სსე კიდევ ერთხელ სთავაზობს მესაკუთრე გასან ხურს „განსახლების სამოქმედო გეგმა“-ით განსაზღვრული, 355 კვ.მ. მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის სანაცვლოდ მიწის ნაკვეთების ჯამური საბაზრო ღირებულების (6123.75 (ექვსი ათას ას ოცდასამი ლარი და 75 თეთრი) ლარი) ანაზღაურებას, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სსე უფლებას იტოვებს იმოქმედოს „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს რეპონსული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბაზრული არსებული სახელმწიფო საკუთრებაში დანახარების - საქართველოს საპრომოვილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

რომან პოლოხაშვილისა (პ/ნ 59001079772) და ზურაბ პოლოხაშვილის (პ/ნ 59001099882) შემტყობინების თაობაზე

შეხვედრა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მსპროპრიაციის თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით


გორის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით (საქმე 3/187- 23), შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ139) უფლისციხის კომპლექსთან მისასვლელი საავტომობილო გზის მე-7 კმ-ში არსებული გზის რეაბილიტაციის 800 მ-იანი მონაკვეთის წყლის აცილების პროექტიული დონისიბებების ჩასატარებელი სამუშაოების პროექტის განხორციელებისთვის, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (შემდგომში - დეპარტამენტი) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ, გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ უფლისციხეში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 66.57.01.272 ნაწილზე, 692 კვ. მეტრიდან 181 კვ. მეტრზე, მასზე არსებულ მრავალწლიან ნარგავებსა და შენობა-ნაგებობაზე (დობე). აღნიშნულ საქმეზე 2023 წლის 28 ივნისის გაცემულია სააღსრულებო ფურცელი (გადაწყვეტილება და სააღსრულებო ფურცელში გასწორებულია უსწორობა 2023 წლის 07 ივლისის განხილებით).

დეპარტამენტმა, როგორც ექსპროპრიატორმა, დაიწყო გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურები.

დეპარტამენტი მოქალაქეებს სთხოვს მათთვის შეთავაზებული საკომპენსაციო თანხის გადმორიცხვის მიზნით, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინონ საბანკო რეკვიზიტები, რომელზეც განხორციელდება დეპარტამენტის მიერ შეთავაზებული საკომპენსაციო თანხის ჩარიცხვა. საბანკო რეკვიზიტების წარმოდგენის შემთხვევაში დეპარტამენტი საკომპენსაციო თანხას განათავსებს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე.

ამასთან, დეპარტამენტი აფრთხილებს მოქალაქეებს, რომ ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსება დაკავშირებულია გარკვეულ სა-ნოტარო ხარჯებთან და გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ თანხის გამოტანის შემთხვევაში, თანხის გამოტანის მიიღებს თავდაპირველად შეტანილ თანხაზე ნაკლებ თანხას (დაიქვითება სანოტარო ხარჯები).

პასტანგ ლიპარტიანი-სარეპაპა



უდიდესი გულისტკივილით და მწუხარებით უნდა გაცნობოთ, რომ გარდაიცვალა მეღვინეობა „ხარებას“ დამფუძნებელი

პასტანგ ლიპარტიანი-სარეპაპა

ბატონი ვახტანგი იყო უაღრესად კეთილშობილი, დახვეწილი და ინტელიგენტური პიროვნება, გამორჩეული თვისებებით და მაღალი ღირებულებებით დაჯილდოებული ადამიანი, ღვთის მადლით და ნიჭით – ქტიტორი. სამაგალითო იყო მისი თავმდაბლობა, მეგობრობა, ადამიანობა, ღვაწლი და სიყვარული ქვეყნისა და ეკლესიისადმი.

ფასდაუდებელია მისი წვლილი კომპანიის და თითოეული ჩვენგანის განვითარებაში. ბატონი ვახტანგი უმძიმესი დანაკლისია თითოეული ჩვენგანისთვის.

პანაშეიდი: 3 და 4 აგვისტოს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში.

გამოსვენება სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრიდან, 5 აგვისტოს, 15 საათზე, დაკრძალვა სამთავროს დედათა მონასტერში.

სრულყოფილი თქვეული

მან ყმანვილკაცობაშივე მიიღო უმძიმესი ფსიქოლოგიური ტრავმა, როცა სოსუმში, შავი ზღვის ტალღებში უმცროსი ძმის, 7 წლის გიას უმანკო სიცოცხლე შეწყდა.

შემდგომ იყო საბედისწერო აფხაზეთის ომი და მშობლიურ გუმისთაზე იძულებით დატოვებული წალკოტად ქვეული ოდაბადე. არსთა გამორჩევი არც ასეთი სულიერი დარტყმა აკპარა და რამდენიმე თვის წინათ ნორჩი ვაჟკაცი ნიკოლოზი წაპყვარა. დამეთანხმებით, მართლაც რომ მეტისმეტია ჯერაც ახალგაზრდა კაიფისათვის, რომელსაც ხვალ 62 წელი შეუსრულდება.

ასეთი პიროვნული ტრაგედიები ბევრს გააბოროტებდა, მაგრამ ჩვენი ძვირფასი ვახო ბოლომდე სიკეთის ეტალონად დარჩა. დიას, აღნიშნული კოდის ერთგულება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია და იგი სწორედ იშვიათი გამონაკლისის წარმოადგენდა. ეკონომისტი მამისა და პედაგოგი დედის პატიოსან, მრავალშვილიან ოჯახში აღზრდილი შრომისმოყვარე ბიჭი სხვანაირი ვერც იქნებოდა.

სამაგალითოა ის ძმობა, რომლითაც წარჩინებით მიღებული უმაღლესი განათლების შემდეგ თენგიზი, ვახტანგი და ალექსანდრე საარაკო საქველმოქმედო ასპარეზად დამკვიდრებულ ბიზნეს უძღვებოდნენ. სხვათა ნაცვლად ძნელია მადლიერების გამოხატვა, მაგრამ პირადად ჩემზე რომ შეფობა ჰქონდათ აღებულნი, ფაქტია და მით უფრო მიმიძიმა ასეთ აუნაზღაურებელ დანაკლისთან შეგუება.

თუმცა, ერთი კონკრეტული, თუნდაც ახლობელი პიროვნების მიმართ გამოჩენილი გულისხმიერება რა მოსატანია იმ საშვილიშვილო ღვაწლთან, რომელიც საერო და საეკლესიო ცხოვრებაში შეიტანეს. ამჯერად საილუსტრაციოდ მხოლოდ მეღვინეობა „ხარებას“ და სვეტიცხოვლის სამრევლოსთვის შენიჭებულ ნ-ტონიან ზარს დავასახელებ.

ვიცი, უანგარობის მოტრფიალე ვახო, რომელიც კეთილ საქმეთა აფიშირებას ვერ იტანდა, ამისთვისაც მისაყვედურებდა, მაგრამ... ნათელი და სანთელი, ძმაო!

ბია პლატონიშვილი

დემურ გადელია ოჯახით უსამძიმრებს უახლოეს მეგობარს ჯამბულ წულაიას ძვირფასი მეუღლის

ია კაკრიაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის დედას, შვილებს, შვილიშვილს და მთელ სანათესაოს.

საზოგადოება „კუს ტბის“ წევრები გამოხატავენ ღრმა მწუხარებას ჯამბულ წულაიას მეუღლის, ულამაზესი და უკეთილშობილესი ქალბატონის

ია კაკრიაშვილის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ ოჯახსა და ახლობლებს.



თენგიზ ქავთარაძე და ვახტანგ კიკნაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ უახლოეს მეგობარს ჯამბულ წულაიას მეუღლის


ია კაკრიაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან აკადემიკოს ნოდარ მითაგვარიას შვილის

ზურაბ მითაგვარიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს



ბაკურ და დავით გულუები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თორნიკე აკაკის ძე გულუა


და თანაუგრძნობენ მეუღლეს, შვილებს, ნათესავ-მეგობრებს, ჩვენთვის ყველასთვის ამ უმძიმეს შამს.

დასაპავს ყალბი ფულის მჭრელები

საქართველოს ფინანსთა სერვისების რეგულირების სააგენტოს განცხადებით, თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამომძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე დაკავებულ იქნა ორი პირი.

„საგამომძიებო მოქმედებების შედეგად, ჯამში ამოღებულ იქნა 524 ცალი ყალბი ერთლარიანი მონეტა. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-იდან 10-წლამდე ვადით. ტარდება შესაბამისი ღონისძიებები ყალბი მონეტების დამამზადებლისა და აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით“ – აცხადებენ საგამომძიებო სამსახურში.

იედიო გიგინია



76 წლის ასაკში გარდაიცვალა პურპროდუქტების სისტემის დამსახურებული მუშაკი, გამორჩეული პიროვნება და საქმის დიდი პროფესიონალი იედიო გიგინია.

იედიო გიგინია დაიბადა ქალაქ ფოთში. როსტოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო მშობლიურ ფოთში, საზღვების სისტემაში. 1973 წლიდან იგი უკვე თბილისშია და აქ აგრძელებს არჩეული პროფესიით მუშაობას, ჯერ თბილისის №5 პურის ქარხანაში ცვლის უფროსად, შემდეგ №4 პურის ქარხანაში იგი ჯერ საამქროს უფროსია, შემდგომ წარმოების უფროსი.

იედიო გიგინიამ ამ ხნის მანძილზე თანამშრომლებს შორის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. იგი ყოველთვის გამორჩეული იყო იუმორითა და საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და პროფესიონალიზმით, ამავდროულად უზომოდ შეყვარებული ფოთისა და ფოთელებზე, სადაც არაერთი საქველმოქმედო საქმით გადაუხადა სიყვარული მშობლიურ კუთხეს.

გამორჩეული მეგობრებსა და ახლობლებთან ურთიერთობაში, მუდამ ემხსოვრება მათ, ვისთანაც კი ურთიერთობა ჰქონია. ღმერთმა გაუნათლოს სული ღირსეულ ადამიანს.

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი, თბილისის №4 პურის ქარხნის კოლექტივი.

პანაშეიდი 3, 4 VII, დაკრძალვა 5 VII, 15 სთ-ზე საუბრთალოს სასაფლაოზე. მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №8, ბ. 27.

ბაღში დაკარგული ქართული ქალის ბატახუბაში მჭრელობის დასაპავს

ბაღში დაკარგული ახალგაზრდა ქართველი ქალის, ნათია მახტაძის გამტაცებელი დაკავებულია. ინფორმაცია მახტაძის გაუჩინარების შესახებ 31 ივლისს გავრცელდა, 1 აგვისტოს კი მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ 4-დღიანი ძებნის შემდეგ ნათია მახტაძე გარდაცვლილი იპოვეს. ამასთანავე, ნათიას დედა იამზე აგუმავა ამ ინფორმაციას არ ადასტურებს.

„ნათია ცოცხალია, ხოლო ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ის გაიტაცა, დაკავებულია“, – დაწერა აგუმავამ სოციალურ ქსელში. სოხუმის დე ფაქტო უწყებებს ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ. ნათია მახტაძე გალში 28 ივლისს გაუჩინარდა.

ალექსანძი
ლოსკანი

მხატვრული
მსოფლმშობრძნობის
აგავსება

ანთბიძარი
მომღვრძნობის ისტორია

ცნობილი ფილოსოფოსის და თეოლოგის ორი წიგნი

გამოვიდა XX საუკუნის დიდი ფილოსოფოსის ალექსეი ლოსკის ორი ნაშრომი ერთ წიგნად: „მხატვრული მსოფლმშობრძნობის აგავსება“ და „ესთეტიკური მოძღვრებების ისტორია“. წიგნი ჩვეული ოსტატობით თარგმნა და დამატება დაურთო აღიარებულმა მთარგმნელმა და ფილოსოფოსმა ვიქტორ რეხილაძემ.

წიგნი იყიდება მაღაზიებში: „ლატერნა“, „პარნასი“, „სანტა-ესპერანსა“ (ს.-პეტერზბურგის ქ. 12), „მუკმარვი“ (არაყიშვილის 5).

ამასთანავე, გამოიცა თავად ვიქტორ რეხილაძის ორიგინალური ფილოსოფიურ-თეოლოგიური ესე სახელწოდებით – „ქართველი რაინდის გამგზავნება მზეთუნახავის საძებნელად“.

ვიქტორ რეხილაძე

ქართული რაინდის
გამგზავნება მზეთუნახავის
საძებნელად

(ფილოსოფიურ-თეოლოგიური ესე)

თბილისი 2023

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS
REPUBLIKA

ჭავჭავაძის გამზირი №170

მთავარი რედაქტორი
საბრტაპ ძოზულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
მამუკა ვაშაძიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალექო
ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლობა:

შპს 100 – ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

შპს „თანადგომა“-1 გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იპაძეძაბა სტამბა
„ქოლორი“
ქ. გაღდაძის №3

კოლორი ჭავჭავი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323



2 009882 616932

ავტორთა საჩუქრადღებოდ!

რედაქციის მიერ
შეუქვეთავი მასალაზე
დაიბეჭდა
ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები,
შესაძლოა, გუდას
არ ემთხვეოდეს
რედაქციის პოზიციას.
ფაქტობრივად
სიუჟეტში პასუხს
აბეზინ ავტორები.


„იპირია ბრილიანტი“

ქალაქ ონის 29-30 ივლის
შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე პირთა სიმღერის, ცეკ-
ვისა და ხელოვნების საერ-
თაშორისო ფესტივალი „იპი-
ერია ბრილიანტი“ ჩატარდა,
რომელშიც მონაწილეობა მ
ქვეყნის წარმომადგენლებმა მიიღეს.

პროექტის ფარგლებში გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ, რომლებსაც
სივრცეებთან ერთად საჩუქრები გადაეცაო. პროექტი სრულიად საქარ-
თველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით
და ონის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების
მქონე პირთა საკუთხებზე მომუშავე საბჭოს ინიციატივით განხორცი-
ელდა და იგი მიზნად ისახავს შშმ პირთა მხარდაჭერას, მათ რესო-
ციალიზაციას და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას.



ყველაზე კვირადღივარი არტისტები



თუფაძის გარდაცვალებ-
იდან თითქმის 30 წლის
შემდეგ, რეპერი თუფაძე შა-
კური დღემდე ამყარებს რე-
კორდებს. სოტბის ნიუ იორ-
კის აუქციონზე რეპერის
ერთ-ერთი სამკაული 1 მი-
ლიონ დოლარად გაიყიდა.

ოქროსა და ბრილიან-
ტის გვირგვინის ბეჭედი შიპ-
შოპ კულტურის ყველაზე
ძვირადღირებულ არტეფაქ-
ტად იქცა, რომელიც აუქციონზე გაიყიდა. ამის შესახებ აუქციონის
წარმომადგენლებმა განაცხადეს. ბეჭედი 1 016 000 დოლარად, საწყის
ღირებულებაზე სამჯერ მეტად, გაიყიდა.

„ეს ბეჭედი ერთადერთია, რომლის დიზაინიც თვითონ ფაქმა
შექმნა და მისი კრეატიული ენერჯის ერთ-ერთი ბოლო შემოქმე-
დებია. განსაკუთრებული არტეფაქტი იმ პერიოდისაა, როდესაც მისი
გავლენა შიპ-შოპ ინდუსტრიაში ზენიტში იყო“, – განაცხადა სოტ-
ბის აუქციონის მენეჯერისა და პოპულარული კულტურის დეპარ-
ტამენტის დირექტორმა კასანდრა შატონმა. თუფაძე ბეჭედი 1996
წელს შექმნა და 1996 წლის MTV Video Music Awards-ზე ეკეთა.
ამ დღეს თუფაძე საზოგადოებაში ბოლოჯერ გამოჩნდა.

თავზე- ხელაღებულ გლობერს კოკა ნუალზე გაუტყდა

თავზეხელაღებული ინსტაგ-
რამ ბლოგერი რეზი ლუჩიდი
ჰონგ-კონგის ერთ-ერთი ცათამ-
ბჯენიდან, 721 ფუტის სიმაღლი-
დან გადმოვარდა და დაიღუპა.

30 წლის რეზი ლუჩიდი ცნობილი სწორედ იმით ვახდა, რომ მსოფ-
ლიოს ვარშემო სხვადასხვა მაღალსართულიან შენობებს იპყრობ-
და და სოციალურ ქსელში ამის ამსახველ ვიდეო მასალას აქვეყ-
ნებდა. ლუჩიდი სოციალურ ქსელში ცნობილი იყო, როგორც „Remi
Enigma“. დამლაგებელმა დაინახა, რომ გლოგერი პენტჰაუსში შეს-
ვლას ცდილობდა. ის დახმარების მისვლამდე გადმოვარდა.



„ქვა აღმართში მიენია...“

იშალიძის ქალაქ კონვენსანოში პოლიციამ ქართველი დააკავა,
რომელიც სახლს ძარცვავდა და აივნიდან გადმოხტომისას ფეხი
მოიტეხა

ამ ინფორმაციის მიხედვით, 38 წლის ქართველთან ერთად კი-
დევი ორი თანამზრახველი იმყოფებოდა, რომლებმაც მიმალვა მო-
ახერხეს. პოლიცია მეზობლებმა გამოიძახეს, რომლებსაც სახლიდან
ხმაური შემოესმათ. მათ იცოდნენ, რომ სახლის პატრონი შეგებულე-
ბაში იყო და შინ არ იმყოფებოდა, ამიტომ 112-ზე დარეკეს. ქარ-
თველი საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაკავებულს სახლის ძარცვა-
ში დამამძიმებელი გარემოებებით და პოლიციისგან მიმალვის მცდე-
ლობაში ბრალი ჩაუყენეს.

რუსი და ქართველი ქურდები - როგორ

პოლიციელები ეჭვმიტა-
ნილებს დაედევნენ, ოფიც-
რებმა ხანმოკლე დევნის
შემდეგ გააჩერეს ეჭვმიტა-
ნილების მანქანა და ჩხრევა
ჩაატარეს.



ჩხრევისას სამართალდამ-
ცველებმა მანქანაში აღმო-
აჩინეს მოწყობილობები,
რომლებიც ჩვეულებრივ გა-
მოიყენება კარებისა და ფან-
ჯრების გასაღებად. ასევე, ამოიღეს AirPods და ძვირფასეულობა.
ამოღებული ნივთები გაძარცული სახლის მეპატრონეებს ეკუთ-
ვნოდა. ეჭვმიტანილები საქართველოს და რუსეთის მოქალაქეები არი-
ან. სასამართლო ისინი წინასწარ პატიმრობაში დატოვა.



ოსკაროსანს სქესუალური კალაძობა ვერ დაუბეჭდეს

ლონდონის სასამართლოს ნაფიქსა მსაჯულებმა
მსახიობი კევინ სპეისი სექსუალური შევიწროებ-
ის საქმეზე უდანაშაულოდ ცნეს.

სასამართლომ მსახიობი ოთხი მამაკაცის მი-
მართ შევიწროების ცხრავე მუხლით გაამართლა.
ნაფიქს მსაჯულთა სასამართლო განაჩენის გამო-
ტანამდე 12 საათზე მეტხანს მსჯელობდა. მსახიობს სექსუალური ხასიათის
სხვადასხვა დანაშაულის ჩადენაში სდებდნენ ბრალს. საქმე ეხება 2004-
2013 წლების პერიოდს, როდესაც კევინ სპეისი ლონდონის Old Vic
Theatre-ის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო.

უკრაინელი კომისარი, რომელიც ოქის დროს გაგვიტყდა

უკრაინაში, სამართალდამცველებმა ჩხრევა ჩაატარეს დნიპრო-
პეტროვსკის ოლქის სამხედრო კომისართან, რომელიც ეჭვმიტა-
ნილია უკანონო გამდიდრებაში, – ინფორმაციას ამის შესახებ უკ-
რაინის ეროვნული პოლიცია ავრცელებს.

გამოძიების განცხადებით, უკრაინაში საომარი მდგომარეობის პე-
რიოდში სამხედრო კომისარმა, ანატოლი
პიკალომ 350 000 დოლარის ღირებულების
ქონება შეიძინა. გამოძიება ასევე აცხადებს,
რომ ოლქის ტერიტორიული დაკომპლექ-
ტების ცენტრის ხელმძღვანელმა მამამის
რამდენიმე მანქანა და ქალაქ დნიპრო-
ში ორი ბინა გადაუფორმა. მან ასევე და-
არეგისტრირა საწარმო ოჯახის წევრის სა-
ხელზე, რომელმაც შეიძინა არასაცხოვ-
რებელი ფართი (დაახლოებით 500 მ²).
თუმცა, საავადსახადო ორგანოში აღნიშ-
ნული ეკონომიკური სუბიექტის შემოსავ-
ლების შესახებ ანგარიშები არ შესულა.



უსტორიკი ვალები ქარსი:

აუზ დოლარი - 2.6433; აპრო - 2.9060;
ბრიტანული პირანა სტერლინგი - 3.3958;
100 რუბლი - 2.9091; თურქული ლირა - 0.0981;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5575;
1000 სომხური დრამი - 6.8462

აქინდი 3 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი სამარტოვო:

ბარი -	ღამ	+19, ღღ	+36
მთიანი რაიონები -	ღამ	+14, ღღ	+33

დასავლეთი სამარტოვო:

ბარი -	ღამ	+18, ღღ	+33
მთიანი რაიონები -	ღამ	+16, ღღ	+31
თბილისი:	ღამ	+23, ღღ	+36

დაგვიკავით, მოგვწერით:

ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35

ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru

ვებ-გვერდი: www.sakresp.ge